პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-14 წელი.

№ 80 (1250) | კვირა, 6 ივლისი, 1958 წ. | ფასი 80 კაპ.

## გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა მტკიცე მეგობრობას!



ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ამასწინათ დამთავრდა მსოფლიო თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. როგორც ცნობილია, ამ შეჯიბრებაში საბჭოთა გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი. საბჭოთა მოჭიდავეებმა მოიპოვეს 4 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი.

ს უ რ ა თ ზ ე: სოფიის ვ. ლევსკის სახელობის სტადიონის ასპარეზი, რომელზეც მიმდინარეობდა მოჭიდავეთა ბრძოლები მსოფლიო თასის მოსაპოვებლად.

ბულგარეთის სატელეგრაფო სააგენტოს პრესფოტო.

# სტუდენტთა სპორტული თამაშები

## კალათბურთი

დამთავრდა სტუდენტ-კალათბურთელთა ზონალური თამაშები.

როგორც ვიუწყებოდით, ვაჟთა გუნდებს შორის, ჯერ კიდევ ქვეჯგუფის მატჩებში, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა მძიმე ბრძოლით ძლიეს თავიანთი უმთავრესი მეტოქე—აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტის ძლიერი კოლექტივი — 56:54; მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, გამარჯვებულებს მოთამაშეთა შეცვლის დროს შეჯიბრების დებულება დაურღვევიათ, რისთვისაც შედეგი ანულირებულ იქნა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს დამარცხება ჩაეთვალა. დებულებისვე მიხედვით, მათ ეს დამარცხება გადაჰყავთ ფინალურ ტურშიც. მას შემდეგ, რაც ორივე კონკურენტმა თანმიმდევრულად მოიგო ყველა დარჩენილი შეხვედრა, აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტმა პირველი ადგილი და მასთან ერთად სტუდენტთა საკავშირო თამაშების ფინალურ შეხვედრებში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა. ამ შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ზონალურ თამაშებში მეორე ადგილზე გამოსული საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდი.

მესამე ადგილის ბედიც აზერბაიჯანის უნივერსიტეტისა და მოლდავეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ვაჟთა გუნდებს შორის ქვეჯგუფის თამაშის მიხედვით გადაწყდა აზერბაიჯანელთა სასარგებლოდ.

ქალთა ასპარეზობაში გადამწყვეტი შეხვედრა შეჯიბრების მეოთხე დღეს მოხდა: ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები, რომლებსაც ამ დღემდე დამარცხების სიმწვავე არ უგრძვნიათ. ამ შეხვედრის მხოლოდ პირველი ნახევარი წარმოადგენდა შედარებით მძაფრ, თანაბარ ბრძოლას. შემდგომ ქართველმა კალათბურთელებმა მოწინააღმდეგეთა შეუპოვრობა გატეხეს და დამაჯერებელი ანგარიშით დაამარცხეს ისინი — 53:27. მეხუთე ტურში მოლდავეთის უნივერსიტეტის გუნდთან გამარჯვების შემდეგ (69:31), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა. გუნდმა პირველი ადგილი გაინაღდა. ის მონაწილეობას მიიღებს სტუდენტთა საკავშირო თამაშების დასკვნით ეტაპში.

**შ. ჯულელი**

## მძლეოსნობა

მძლეოსანთა შეჯიბრების უკანასკნელ დღემდე გუნდურ ჩათვლაში წინ იყვნენ აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენები, მაგრამ ამ დღეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნებმა ბრძოლის ბედი თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვიტეს. ამაში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ათჭიდელ ო. ხოლოდოკს, რომელმაც 5878 ქულა შემატა გუნდს. ამ დღეს სხვა სახეობებშიც ისახელეს თავი საქართველოს სპორტსმენებმა. სამხტომში ყველაზე კარგი შედეგი — 14,93 მ აჩვენა ვ. ჩხეიძემ (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი), ხოლო მისი თანაგუნდელი ი. გიგაური უძლიერესი იყო შუბის ტყორცნაში. მან 3,71 მეტრით უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე მეორე ადგილზე გამოსულმა ა. პრუტიანმა (კიშინიოვის პედინსტიტუტი) — 60.35 მ.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ვაჟთა შეჯიბრება სიგრძეზე ხტომაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა რ. ქვაჩახიძემ, რომელიც პირად ჩათვლაში გამოდიოდა, ერთადერთმა გადალახა 7-მეტრიანი ზღვარი და შედეგით 7,06 მ პირველი ადგილი დაიკავა. აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრმა ა. რეშეტნიკოვმა (6,94 მ) და ბ. სამოილენკომ (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 6. 79 მ დაიკავეს მომდევნო ადგილები. ორი პირველი ადგილი მოიპოვეს საქართველოს სპორტსმენებმა ქალთა შორის შუბის ტყორცნაში. გ. ბრიტვინას (ფიზკულტურის ინსტიტუტი) მიერ ნატყორცნი შუბი დაეცა 40,72 მეტრზე, ხოლო ვ. ჟიტინიოვამ („დინამო“, პირადი ჩათვლა) აჩვენა მეორე შედეგი — 38,49 მ.

როცა ბირთვის სატყორცნ სექტორზე გამოვიდნენ ვაჟები, ყველა ვარაუდობდა სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტის, ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენის ვ. ოვსეპიანის გამარჯვებას. მართლაც, წინასწარ შეჯიბრებაში მან ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა — 15,63 მეტრი. მაგრამ შემდეგ უარი თქვა ფინალში მონაწილეობაზე, რის გამოც პირველი ადგილი მიეკუთვნა ზ. სადიხოვს (აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 15,35 მ. ვ. ბლიაძე (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი) გამოვიდა მეორე ადგილზე — 14,85 მ.

საინტერესო იყო ვაჟთა ესტაფეტა 4×100 და 4×400 მეტრზე. პირველში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა ლ. ანთაძის, ზ. ჯარაშნელის, რ. ტრაპაიძისა და ნ. კლიუევის შემადგენლობით პირველივე ეტაპზე შეძლო გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება, რაც ბოლომდე შეინარჩუნა და გაიმარჯვა— 42,6. სამაგიეროდ, აზერბაიჯანელები უძლიერესნი აღმოჩნდნენ ესტაფეტაში 4×400 მეტრზე.

შედეგები გუნდურ ჩათვლაში ასეთია: 1. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი — 31.291 ქულა; 2. აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტი—27.987; 3. კიშინიოვის პედინსტიტუტის ფიზაღზრდის ფაკულტეტი — 25.602. არასპეციალური ინსტიტუტების მძლეოსანთა შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ მოლდავეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ხოლო მეორეზე— საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მძლეოსნები.

**ო. გელაშვილი**

## გუნდური პირველი ადგილისათვის

2 ივლისს ვილნიუსში დაიწყო საბჭოთა კავშირის V საჭადრაკო ჩემპიონატი პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მოხდა კენჭისყრა. გუნდები სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. რსფსრ, 2. მოსკოვი, 3. ლენინგრადი, 4. ესტონეთი, 5. ბელორუსია, 6. ლატვია, 7. ლიტვა, 8. უკრაინა, 9. საქართველო.

ტურნირი საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევს, რადგან მასში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მოჭადრაკეები: გროსმაისტერები დ. ბრონშტეინი, ტ. პეტროსიანი, ი. ავერბახი (მოსკოვი), ვ. კორჩნოი, მ. ტაიმანოვი, ა. ტოლუში (ლენინგრადი), პ. კერესი (ესტონეთი), ი. ბოლესლავსკი (ბელორუსია), რსფსრ-ს ხუთგზის ჩემპიონი საერთაშორისო ოსტატი რ. ნეჟმეტდინოვი, მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის ე. ბიკოვა, საერთაშორისო ოსტატები: საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვ. ბორისენკო (რსფსრ), კ. ზვორიკინა (ბელორუსია) და სხვ.

თვითეულ გუნდში შვიდი ვაჟი და სამი მოჭადრაკე ქალია. წინა წლებისაგან განსხვავებით ყოველ გუნდში შეყვანილია თითო მოჭადრაკე ვაჟი და ქალი არაუმეტეს 20 წლის ასაკისა. ახალგაზრდა მოჭადრაკეთათვის მონაწილეობა ესოდენ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში მათთვის იქნება დაოსტატებისა და გამოცდილების შეძენის საუკეთესო სკოლა.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდი ჩემპიონატში მონაწილეობს ასეთი შემადგენლობით: ოსტატი მ. შიშოვი, ოსტატობის კანდიდატები ა. ბლაგიძე და გ. კალატოზიშვილი, პირველთანრიგოსნები გ. მაჭავარიანი, თ. ლომაია, მ.დემურია, დ. ჯანოევი, საქართველოს ჩემპიონი მ. ტოგონიძე, ე. კაკაბაძე, ნ. გაფრინდაშვილი.

## პირველ აცილებამდე

ხშირია შემთხვევები, როცა კალათბურთელთა გუნდი აგებს შეხვედრას მხოლოდ იმიტომ, რომ მოთამაშეებმა ვერ გამოიყენეს საჯარიმო ტყორცნები.

ამან განაპირობა ის დიდი ინტერესი საჯარიმოს ზუსტად ტყორცნის კონკურსისადმი, რომელიც გამოაცხადა კალათბურთის საკავშირო სექციამ, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის სპორტთამაშობათა სამმართველომ და ჟურნალმა „სპორტივნიე იგრიმ“. ეს საინტერესო ღონისძიება დაიწყო და დამთავრდება მიმდინარე წლის პირველ ნოემბერს. შეჯიბრებებს ატარებენ საწარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების ფიზკულტურის კოლექტივები და კაკალათბურთის საქალაქო სექციები. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა კალათბურთელს მისი სპორტული ოსტატობის დონისა და წლოვანების მიუხედავად.

შეჯიბრება საჯარიმო ტყორცნებში ტარდება სპორტის ამ სახეობის თამაშის წესებით. ტყორცნები შესრულდება პირველ აცილებამდე. მონაწილეს ერთ შეჯიბრებაზე შეუძლია გააკეთოს ორი ცდა, ჩათვლაში შევა საუკეთესო შედეგი.

ზუსტი ტყორცნის ყოველი შეჯიბრება შეტანილ უნდა იქნას ოქმში, რომელსაც ხელს აწერს მთავარი მსაჯი და ბეჭდით ამოწმებს ფიზკულტურის რაიონული ან საქალაქო კომიტეტი. ოქმში ნაჩვენები უნდა იყოს შეჯიბრების ადგილი და თარიღი; ფიზკულტურის კოლექტივი, სადაც ჩატარდა კონკურსი; მონაწილეთა რაოდენობა; საუკეთესო შედეგი (ცალკე ქალების და ცალკე ვაჟების) და მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობა. შეჯიბრების ოქმი გაიგზავნება შემდეგი მისამართით: მოსკოვი, კ-104 ბ. ბრონაია, 28, ჟურნალი „სპორტივნიე იგრი“. შეჯიბრების ოქმების გაგზავნის უკანასკნელი ვადაა 30 ოქტომბერი.

ათი საუკეთესო სპორტსმენი, რომლებიც აჩვენებენ მაღალ შედეგებს, დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით.



საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლის უკანასკნელი ეტაპები მეტად დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. უძლიერესის სახელს ერთმანეთს ეცილებოდნენ ველორბოლის ლიდერები — რუსეთის ფედერაციის, მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინისა და სხვა გუნდები.

უკანასკნელ ეტაპს ველორბოლის სატურნირო ცხრილში ცვლილებები არ შეუტანია. პირად პირველობაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა ნ. ეჩკენკომ. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რუსეთის ფედერაციის ველოსიპედისტებმა.

ს უ რ ა თ ზ ე: ველომრბოლელები უახლოვდებიან მოსკოვს.

# „ლელოს" მკითხველთა კონფერენცია

ჩვენი გაზეთის რედაქცია თავის მკითხველებთან დაახლოების, მათი აზრის მოსმენისა და გაზიარების მიზნით რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში აწყობს მკითხველთა კონფერენციებს. ამას წინათ ასეთი ღონისძიება ჩავატარეთ წულუკიძესა და ქუთაისში. ქვემოთ ვათავსებთ „ლელოს" მკითხველთა კონფერენციების მოკლე ანგარიშებს.

წულუკიძის რაიონის კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები მომზადებული შეხვდნენ მკითხველთა კონფერენციას. სიტყვებში გამოსულმა ამხანაგებმა ბევრი საინტერესო აზრი გამოთქვეს, რომელთა გათვალისწინება ჩვენ მუშაობას უფრო გამოაცოცხლებს.

უპირველეს ყოვლისა მათ, ისე, როგორც შემდგომ ქუთაისელებმა აღნიშნეს, ვერ აკმაყოფილებთ გაზეთის ფორმატი და ტირაჟი. — წულუკიძეში, — თქვა მ. გორდაძემ, — ათიოდე „ლელო" თუ მოდის გასაყიდად, რაც არავითარ შემთხვევაში არ არის საკმარისი. თუ ფორმატი არა, ტირაჟი მაინც უნდა გადიდდეს. ა. გალდავამ, ო. გოგავამ, თ. შველიძემ და ტ. ჯაფარიძემ ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ გაზეთი დროა რაიონების სპორტულ ცხოვრებაზე ინფორმაციების ბეჭდვიდან გადავიდეს საფუძვლიან, ბევრის ამსახველ წერილებზე.

მკითხველებმა გამოთქვეს სურვილი, რომ გაზეთი უფრო ხშირად და გემოვნებით შერჩეულ მასალას ათავსებდეს „ნარევის" განყოფილებაში. გამოითქვა აზრი—ხშირად ქვეყნდებოდეს მასალები სპეციალისტის შენიშვნებით უცხო ქვეყნების პირველობებისა სპორტის იმ სახეობების შესახებ, რომლებიც ჩვენში ფართოდაა კულტივირებული.

ბევრი ითქვა ფეხბურთში საქართველოს პირველობის შესახებ წულუკიძეში. მკითხველებმა უსაყვედურეს გაზეთს, რომ იგი დაგვიანებით აქვეყნებს თამაშების შედეგებს და მოითხოვეს, რომ გაზეთში უფრო ხშირად იბეჭდებოდეს გათამაშების ცხრილები.

წულუკიძის კომკავშირის რაიკომის მდივნის ჯ. ჩხენკელის აზრით მკითხველთა კონფერენციები, რომლებსაც აწყობს ჩვენი გაზეთი, ნამდვილად შეუწყობს ხელს გაზეთის წინაშე დასმული ამოცანების შესრულებას. ბოლოს მან თქვა, რომ საჭიროა მეტი იწერებოდეს კომკავშირისა და სპორტული ორგანიზაციების შეთანხმებული მუშაობის გამოცდილების შესახებ.

ქუთაისში მკითხველთა კონფერენციები ჩატარდა ქალაქის სპორტულ აქტივთან და ქუთაისის „საქმშენსახპროექტის" ფილიალის ინსტიტუტში, რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე ქალაქის სახპროექტოსა და მე-4 სამშენებლო უბნის ინჟინერ-ტექნიკოსები. აქაც აღნიშნეს, რომ ქალაქში მცირე რაოდენობით იღებენ გაზეთს და რასაც იღებენ, იმასაც დაგვიანებით.

ვ. ნაცვლიშვილმა უსაყვედურა რედაქციას, რომ იგი ნაკლებად ათავსებს მასალებს მაგიდის ჩოგბურთზე. დ. დევიძემ მოითხოვა, რომ გაზეთში უფრო ობიექტურად შუქდებოდეს ფეხბურთი და ზოგჯერ მაინც ვრცლად იყოს გარჩეული ფეხბურთში საქართველოს პირველობის მატჩები. გ. ბერიძემ საჭიროდ მიიჩნია, რომ გაზეთმა უფრო მკაცრად გაამათრახოს შეჯიბრებათა ორგანიზატორები, რომლებიც მაყურებელს ანგარიშს არ უწევენ.

ახალგაზრდა ინჟინერმა გ. თოდაძემ ილაპარაკა გაზეთში ე[illegible] სპორტის სახეობების [illegible] განდაზე. [illegible] წამოაყენა წინადადება, რათა გაზეთმა დროგამოშვებით გამოაქვეყნოს მასალები სხვა ქვეყნებში კულტივირებული თამაშების შესახებ, რომლებიც ჩვენში არ არის. დ. ცაგარელმა სამართლიანად აღნიშნა, რომ გაზეთში უფრო ბევრი ადგილი ეთმობა თბილისის სპორტულ ცხოვრებას.

მკითხველთა კონფერენციებმა ცხადყვეს, რომ ჩვენს გაზეთს ქუთაისსა და წულუკიძეში ჰყავს კარგი, მომზადებული მკითხველთა აქტივი. მათთან შეხვედრები ყოველთვის სასარგებლო იქნება ჩვენი შემდგომი მუშაობისათვის.

# წამოაყენეს სასარგებლო წინადადებები

თბილისში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირველი კონფერენცია. მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების ორგბიუროს თავმჯდომარე ნ. სხირტლაძე, რომელიც ვრცლად შეჩერდა ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა, სრულიად საკავშირო მეექვსე საზაფხულო სპარტაკიადისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის ფიზკულტურული კოლექტივების მომზადების საკითხებზე.

კამათში გამოვიდა 13 დელეგატი. მათ შორის ვ. აფრიდონიძე (ქუთაისი), შ. ლომინაძე (აფხაზეთი), შ. მამინაშვილი (აჭარა), ე. გოლოვანოვა (სამხრეთ ოსეთი), ბ. ფიფია (ჭიათურა), ო. დვალი (გორი), ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოდან გ. სამადაშვილი და სხვები.

ქუთაისელმა დელეგატმა აღნიშნა, რომ ქალაქის 70 წარმოებას არ გააჩნია მარტივი ტიპის მოედანი. მათ განკარგულებაში არაა არც ერთი რინგი, საჭირო რაოდენობის საჭიდაო ლეიბები, ხოლო დახმარება „განთიადის" ცენტრალურ საბჭოს მხრივ არადამაკმაყოფილებელია.

აჭარის წარმომადგენელმა შ. მამინაშვილმა კონფერენციას მოუთხრო ბათუმის საწყლოსნო სადგურის სამარცხვინო მდგომარეობის, მისი რემონტის უზომოდ გაჭიანურების შესახებ და აგრეთვე სხვა ნაკლოვანებებზე.

საყოველთაო გაკვირვება გამოიწვია ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივის დელეგატის გ. სამადაშვილის გამოსვლამ. აქ თურმე სისტემატურად აქირავებენ სპორტულ ბაზებს ნაკრები გუნდების შეჯიბრებებში მონაწილეობით გამოწვეული ხარჯების დასაფარავად, რის გამოც ადგილობრივი სექციები ზოგჯერ „უბინაოდ" რჩებიან.

კამათში გამოსული დელეგატების უმრავლესობა აღნიშნავდა „განთიადის" საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების მუშაობაში ხელშემშლელ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომელთაგან აღსანიშნავია: მსხვილი საწარმოების კოლხელშეკრულებებში სპორტნაგებობათა მშენებლობის გაუთვალისწინებლობა, საწარმოო ტანვარჯიშის ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი დანერგვა, ზოგიერთი საწარმოს ფიზკულტურული კოლექტივების ფორმალური არსებობა (ბათუმის ფანერის ქარხანა და საავადმყოფო), პროფკავშირული ორგანიზაციების უმოქმედობა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საქმეში, სპორტნაგებობათა გაჭიანურებული მშენებლობა (გორის ბამბეულის კომბინატი), შიდასაკოლექტივო შეჯიბრებების სიმცირე, „საუკეთესო მორბენლის", „საუკეთესო მტყორცნელის" და სხვა ამგვარ შეჯიბრებათა ჩატარების უგულებელყოფა (აფხაზეთი) და სხვ.

კონფერენციაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე, რომელმაც დელეგატების ყურადღება გაამახვილა სპორტული ბაზების მოვლა-პატრონობის, პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისა და საზოგადოების წევრთა ზრდისა და მათი ფიზკულტურულ სექციებში ჩაბმის აუცილებლობის საკითხებზე. მან დაგმო ტრამვაელთა კოლექტივის ხელმძღვანელების მოქმედება სპორტული ბაზის კომერციული მიზნით გამოყენების საქმეში და მოაგონა მათ, რომ სპორტბაზის მშენებლობაში უშუალოდ მონაწილეობდნენ სპორტის მოყვარული ახალგაზრდები. ამიტომ არ შეიძლება მოუსპონ მათ სისტემატური ვარჯიშის შესაძლებლობა.

კონფერენციის დასასრულს სიტყვით გამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენელი ვ. პიჩუგინი, რომელმაც კონფერენციას გააცნო საბჭოთა კავშირის ზოგიერთი ქალაქის გამოცდილება სპორტის სხვადასხვა სახეობაში ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში წვრთნისა და მსაჯობის საქმის გაუმჯობესების საკითხებზე. მაღალი თანრიგის სპორტსმენებმა ამ მიზნით თავიანთ ძირეულ კოლექტივებში უნდა ჩაატარონ სისტემატურად სპორტული სექციების მეცადინეობა, ხოლო საკავშირო და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯები დაშვებულ იქნან საკავშირო ან რესპუბლიკური მნიშვნელობის შეჯიბრებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განვლილ სპორტულ სეზონში მათ ჩატარებული ექნებათ შეჯიბრება თავიანთ ძირეულ კოლექტივებში 2-3-ჯერ მაინც.

კონფერენციამ აირჩია „განთიადის" რესპუბლიკური საბჭო. „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ნ. სხირტლაძე.

**ა. ბარნოვი**

# შეჯიბრებამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა

ქუთაისის კალათბურთის მოედანზე მოწყობილ ორ ხალიჩაზე სამ დღეს გრძელდებოდა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის.

პირველ ჯგუფში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და სამხრეთ ოსეთის გუნდები, ხოლო მეორე ჯგუფში — გორის, ცხაკაიასა და წითელწყაროს კოლექტივები. ჭიათურის ფიზკულტურის კომიტეტმა ვერ შეძლო სრული გუნდის გამოყვანა და შეჯიბრებაზე ჩამოვიდა მხოლოდ 5 სპორტსმენით.

საერთოდ, შეჯიბრებამ და განსაკუთრებით სპორტსმენთა მომზადებამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თითქმის ყველა შეხვედრა საკმაო დაძაბულობით მიმდინარეობდა.

საინტერესო იყო უმსუბუქეს წონაში გასული წლის ჩემპიონის ჯ. ძნელაძისა და ე. ქიზიყურაშვილის (ორივე თბილისი) ფინალური შეხვედრა. ძნელაძემ, მართალია, შეინარჩუნა პირველი ადგილი, მაგრამ ამას მან მიაღწია საკმაოდ ძნელ ბრძოლაში, მეორე ადგილი წილად ხვდა ქუთაისელ ა. არაბიძეს, ქიზიყურაშვილი მესამე ადგილზე დარჩა.

წარუმატებლად დაიწყო შეჯიბრება ახალმა ჩემპიონმა მჩატე წონაში ა. როსტიაშვილმა (თბილისი). მან წააგო პირველი შეხვედრა, მაგრამ შემდეგ დიდი ამაღლობით ჩაატარა ყველა ბრძოლა და გაიმარჯვა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ მისი თანაგუნდელი ე. ხაჩატუროვი და სოხუმელი ნ. ერემიდი.

ქვემსუბუქ წონაში ყველას აჯობა თბილისის ჩემპიონმა ჭაბუკთა შორის გ. აბასოვმა. ამ წონით კატეგორიაში მაღალტექნიკური ჭიდაობით მაყურებელზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ბათუმელმა დ. თარგამაძემ (მეორე ადგილი). მესამეზე იყო პ. პიჩიკიანი (თბილისი).

მსუბუქ წონაში საპრიზო ადგილები წილად ხვდათ თბილისელ სპორტსმენებს რ. რურუას, ე. აჯიაშვილსა და ქუთაისელ მ. კვაჭანტირაძეს. ქვესაშუალო წონაში კარგად გამოვიდნენ ქუთაისელი სპორტსმენები. მართალია, პირველი ადგილი აქაც თბილისელს — ს. ბეგიზოვს ხვდა წილად, სამაგიეროდ მეორე და მესამე ადგილები მოიპოვეს ქუთაისლებმა გ. საკანდელიძემ და დ. ღათოსანმა.

საშუალო წონაში ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი რ. ლეკვეიშვილი. მ. სვანი და მ. პიტიმაშვილი (ორივე თბილისი) გამოვიდნენ მომდევნო ადგილებზე. თბილისელმა ე. კოპლატაძემ კლასიკურ ჭიდაობაში წვრთნა დაიწყო ორიოდე თვის წინათ და უკვე მიაღწია პირველ სერიოზულ წარმატებას ქვემძიმე წონაში. მან ამ შეჯიბრებაზე სამი შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა, ერთი ფრედ და პირველი ადგილი გაინაღდა. სტალინირელმა სპორტსმენებმა ერთადერთი საპრიზო ადგილის მოპოვება შეძლეს ამ წონით კატეგორიაში, — რ. ტეხოვი მესამე ადგილზე გამოვიდა. მეორე ადგილზეა გ. თორონაშვილი (ქუთაისი).

მძიმე წონაში ყველა შეხვედრის მოგებით უძლიერესის სახელი დაიმკვიდრა გ. ხითარიშვილმა (ქუთაისი). ნ. ერემაშვილი და ო. ხვედელიძე (ორივე თბილისი) დარჩნენ მომდევნო ადგილებზე.

გუნდურ ჩათვლაში I ჯგუფში პირველი სამი ადგილი შესაბამისად დაიკავეს თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის მოჭიდავეებმა. მეორე ჯგუფში ყველას აჯობეს გორელებმა.

უძლიერესთაგან შეიქმნება ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ჭაბუკთა საკავშირო პირველობის გათამაშებაში.

**ი. ჩხარტიშვილი,**
სპორტის ოსტატი.

ქალაქებსა და რაიონებში

## ქუთაისის რაიონში

სოფლის სპორტსმენებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია სპარტაკიადამ, რომელიც ჩაატარა ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა და დოსააფმა. სპარტაკიადაში გამარჯვებისათვის იბრძოდა 18 ძირეული კოლექტივის 140 სპორტსმენი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადაში პირველი ადგილი დაიკავეს სოფელ საყულიის საშუალო სკოლის ფიზკულტურელებმა. სპორტის ცალკეულ სახეობაში ფიზკულტურელებმა კარგი შედეგები აჩვენეს. ა. ხანთაძემ მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში 100 შესაძლებლიდან 94 ქულა მოაგროვა, დ. ქეიშვილმა კი — 93. მ. მაღლაფერიძემ ყუმბარა ტყორცნა 64 მეტრსა და 12 სანტიმეტრზე; ა. კლდიაშვილმა 5-კილომეტრიანი დისტანცია გაირბინა 17 წუთში.

• • •

ჩატარდა ფრენბურთელთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ გეგუთის საბჭოთა მეურნეობის, პატრიკეთის კოლმეურნეობისა და გუმათჰესის მშენებელთა გუნდები.

ტურნირში უძლიერესნი აღმოჩნდნენ გუმათჰესის სპორტსმენები, რომლებმაც დაიკავეს პირველი ადგილი.

**ჯ. უკლება**

# დიდ თარიღს მიეძღვნა



სურათზე: ნიჩბოსნები დისტანციაზე.

სოხუმში ორ კვირას გრძელდებოდა აფხაზეთის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის სპარტაკიადა, რომელიც საკავშირო ალკკ მე-40 წლისთავს მიეძღვნა.

სპარტაკიადა გახსნეს მოტოციკლისტებმა. 18-კილომეტრიანი დისტანცია მცირელიტრაჟიანი მოტოციკლებით ქალთა შორის პირველმა დაამთავრა ე. მელეტიცკაიამ, ხოლო 30 კილომეტრი ვაჟთა შორის — ვ. ჩაპროვამ. 350 კბ სმ მოცულობის მოტოციკლეტებით 40 კილომეტრზე რბოლაში გამარჯვებული გამოვიდა სპორტის ოსტატი გ. რუხაძე.

სოხუმის რეიდზე სტარტი მიეცა საზღვაო მრავალჭიდს. ნიჩბოსანთა შეჯიბრებაში 1-კილომეტრიან დისტანციაზე უძლიერესი აღმოჩნდა დოსაafის სოხუმის საზღვაო კლუბის ჭაბუკთა გუნდი. ამავე კლუბის მოზრდილთა გუნდმა გაიმარჯვა ნიჩბოსანთა 2-კილომეტრიან დისტანციაზე. მიუხედავად ამისა, იალქნიანი ნავებით 1,5 მილზე შეჯიბრებაში, სატყორცნი თოკის სროლასა და ბაგირის გადაჭიმვაში გამარჯვებით სოხუმის პორტის სპორტსმენებმა შეძლეს საზღვაო მრავალჭიდში საერთო გუნდური პირველი ადგილის მოპოვება.

მსროლელთა შორის პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ა. ტკაჩენკომ, ხოლო გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდათ დოსააფელებს.

სოხუმის სანაპიროზე გამოფენილი ხომალდებისა და ნავის მოდელებს შორის მსაჯთა კოლეგიამ უპირატესობა მიანიჭა კ. კრივონოსოვის ნამუშევარს.

მონაწილეთა ყველაზე დიდი რაოდენობა მიიზიდა შეჯიბრებამ „ნორჩი მეზღვაურის" ნიშნოსანთა შორის, რომლებიც ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ნიჩბოსნობაში, ტანსაცმლით ცურვაში, საზღვაო კვანძის შეკვრასა და სხვა სახეობებში. პირველი ადგილი დაიკავეს სოხუმის ნორჩმა სპორტსმენებმა.

იპოდრომზე გაიმართა ავიამოდელისტთა შეჯიბრება. წარმატება ხვდა წილად ვ. ბარკალაიას, ვ. კრავცოვის, ვ. ტკაჩენკოსა და ე. ოსორკოვის მიერ შექმნილ მოდელებს.

**ვ. სემიონოვი**

# სტუდენტთა სპორტული თამაშები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კლასიკური ჭიდაობა

სტუდენტთა თამაშებზე კლასიკურ ჭიდაობაში შეიკრიბა 7 გუნდის 53 მოჭიდავე, აქედან 13 სპორტის ოსტატი იყო.

შეჯიბრების პირველ დღეს საინტერესოდ წარიმართა უმძიმესი წონის მოჭიდავეების ზ. თევზაძისა (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი) და მ. გიდერიანის (სომხეთი) შეხვედრა. პირველი 6 წუთი ქართველი სპორტსმენის მცირე უპირატესობით დამთავრდა. მე-9 წუთზე ზ. თევზაძემ ხიდურზე დააყენა მეტოქე და აიძულა იგი ბეჭებით შეხებოდა ლეიბს. მჩატე წონაში ნ. დავლიანიძეს (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი) მცირე უპირატესობით მოუგო ზ. უგრეხელიძემ (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი). ქვემსუბუქ წონაში სპორტის ოსტატმა ი. ძებისაშვილმა (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი) დაამარცხა შ. ნოვრუზოვი (აზერბაიჯანი). ამავე წონაში შ. სეფაშვილმა (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი) სუფთა გამარჯვება მოიპოვა მოლდაველ ვიშნევსკისთან.

გამოცდილი მოჭიდავე ა. ქორიძე (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი) მსუბუქ წონაში შეხვდა სომხეთის პედინსტიტუტის წარმომადგენელს სტეფანიანს. 1 წუთსა და 50 წამში თავისი საყვარელი ფანდით — წელში შევარდნით, გამარჯვება მოიპოვა ქორიძემ.

ქვესაშუალო წონის მოჭიდავეებიდან დაწინაურდა აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გ. გრიგორიანი, რომელმაც სუფთად მოუგო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრს ხითარიშვილს.

ქვემძიმე წონაში ი. ტულუშმა (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი) სუფთა გამარჯვება მოიპოვა აზერბაიჯანელ სალმანოვზე, ხოლო პ. კუბლაშვილს (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი) მძიმე წონაში 6 წუთი და 5 წამი დაჭირდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტ ხაბეიშვილზე გამარჯვებისათვის.

მეორე დღის შეხვედრებიდან აღსანიშნავია სპორტის ოსტატების ი. ძებისაშვილის და შ. სეფაშვილის ჭიდაობა. 9 წუთის განმავლობაში უპირატესობა სეფაშვილის მხარეზე იყო ,მაგრამ ჩოქბჯენში მან საბედისწერო შეცდომა დაუშვა და მე-10 წუთზე ბეჭებით შეეხო ხალიჩას. კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ა. ქორიძემ, ამჯერად აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტ გუკასოვზე. მეორე გამარჯვება ჩაიწერეს კ. დოსაევმა (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი), რომელმაც 7 წუთსა და 30 წამში დაამარცხა აზერბაიჯანელი მამედოვი და პ. კუბლაშვილმა, რომელმაც მოუგო დანელიანს (სომხეთი).

ფინალური შეხვედრები გაიმართა სახელმწიფო ცირკის შენობაში. უმჩატესი წონის მოჭიდავეების ზ. უგრეხელიძისა და მოლდაველი ი. ბაჩუს ორთაბრძოლა 5 წუთსა და 15 წამში დამთავრდა ქართველი სპორტსმენის გამარჯვებით. ი. ძებისაშვილმა ქულებით დაამარცხა რ. ოსიპოვი (აზერბაიჯანი). ამ წონაში პირველი ადგილი მოიპოვა შ. სეფაშვილმა. მძიმე წონაში პ. კუბლაშვილმა ქულებით გაიმარჯვა ფ. რუსნიკთან (მოლდავეთი).

**გუნდური პირველობის შედეგები ასეთია:** 1. აზერბაიჯანის ფიზ. ინსტიტუტი, 2. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, 3. აზერბაიჯანის ინდუსტრიული ინსტიტუტი.

## თავისუფალი ჭიდაობა

უფრო საინტერესო გამოდგა შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილე სპორტსმენებმა გამოავლინეს კარგი ტექნიკურ-ტაქტიკური და ფიზიკური მომზადება. შეხვედრები დიდი სპორტული დაძაბულობით ხასიათდებოდა. განსაკუთრებით ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა მჩატე წონაში, სადაც პირველობისათვის იბრძოდნენ სპორტის ოსტატები ლ. ძაგანია (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი) და ო. მამედბეკოვი (აზერბაიჯანი). პირველმა 2 წუთსა და 40 წამში სუფთა გამარჯვება მოიპოვა ნიკოლეიშვილზე (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ფრედ დაამთავრა ჭიდაობა ო. მამედბეკოვთან, მოუგო რ. სარქისიანს (აზერბაიჯანი) და დაიკავა პირველი ადგილი.

მსუბუქ წონაში პირველობის ბედს წყვეტდა სპორტის ოსტატების გ. საღარაძისა (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი) და ა. გვიმრაძის (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი) შეხვედრა, მაგრამ იგი ფრედ დამთავრდა. შემდეგ შეხვედრებში ორივე სპორტსმენმა დაამარცხა სსრ კავშირის პირველობის პრიზიორი ა. გალუსტიანი (აზერბაიჯანი). მესამე წრეში ა. გვიმრაძემ ქულებით მოუგო ს, აჰმედოვს (აზერბაიჯანი). პირველი ადგილის ბედი უნდა გამოერკვია გ. საღარაძისა და ს. აჰმედოვის შეხვედრას. გამარჯვების შემთხვევაში გ. საღარაძე იკავებდა პირველ ადგილს. მაგრამ ეს ჭიდაობა ქულებით მოიგო აზერბაიჯანელმა და პირველი ადგილი წილად ხვდა ა. გვიმრაძეს.

საშუალო წონის ფინალში დაუმარცხებლად გავიდნენ ზ. მუხიაშვილი და ჯ. დავლიანიძე (ორივე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტიდან). პირველ 6 წუთში ჯ. დავლიანიძის მიერ მოპოვებულმა მცირე უპირატესობამ გადაწყვიტა შეხვედრის ბედი მის სასარგებლოდ. ასევე ორ ქართველ მოჭიდავეს შორის გადაწყდა პირველობის ბედი ქვემძიმე წონაში. აქ ა. ზურაბაულისა (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი) და დ. ქავთარაძის (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი) შეხვედრა დამთავრდა ფრედ, მაგრამ ვინაიდან ა. ზურაბაულს მეტი სუფთა გამარჯვება ჰქონდა, პირველი ადგილი მას მიეკუთვნა. მძიმე წონაში ფინალამდე არც ერთი დამარცხება არ ჰქონდათ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს ა. ვარდოშვილსა და სსრ კავშირის პირველობის პრიზიორს კლასიკურ ჭიდაობაში ა. აბრამიანს (სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტი). მათი გადამწყვეტი შეხვედრა მოიგო საქართველოს გუნდის წევრმა, რომელმაც მოწინააღმდეგის ჩოქბჯენში გადაყვანით მოიპოვა პირველი ადგილი.

**გუნდური პირველობის შედეგები ასეთია:** 1. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, 2. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 3. აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტი.

**დ. ციმაკურიძე,**

**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

## ფრენბურთი

რაც უფრო უახლოვდებოდა დასასრულს გათამაშება ფრენბურთში ქალთა გუნდებს შორის, მით უფრო დაძაბული ხასიათი ჰქონდა ბრძოლას. ეს გასაგებიცაა — მხოლოდ პირველი ადგილი იძლეოდა სტუდენტთა თამაშების საკავშირო ფინალში მონაწილეობის უფლებას.

ბოლოსწინა შეხვედრებიდან ყველაზე საინტერესო გამოდგა აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდების შეხვედრა. პირველი ორი პარტია საკმაოდ იოლად მოიგეს თბილისელმა ფრენბურთელებმა — 15:11 და 15:7. დიდი უპირატესობა ჰქონდათ მათ მესამე პარტიაშიც — 11:4, მაგრამ საკმაო გამოდგა ყურადღების შესუსტება და აზერბაიჯანელებმა მოიგეს ჯერ მესამე პარტია — 15:12 და შემდეგ მეოთხეც — 15:9.

გადამწყვეტ პარტიაში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა კვლავ შეძლო ინიციატივის ხელში აღება და გაიმარჯვა ანგარიშით 15:3.

გათამაშების ბოლო დღეს ერთმანეთს შეხვდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდები. სომხეთის გუნდმა ცუდად ჩაატარა შეხვედრა და განიცადა დამარცხება ანგარიშით 2:3.

ამრიგად, სამ გუნდს აღმოაჩნდა მოგებათა და წაგებათა თანაბარი რაოდენობა. ერთნაირი გამოდგა მოგებული და წაგებული პარტიების რიცხვიც. ჩემპიონი გამოვლინებულ იქნა ამ გუნდებს შორის შეხვედრებში მოგებული და წაგებული ქულების საუკეთესო განსხვავებით. იგი უკეთესი აღმოაჩნდა საქართველოს ფრენბურთელებს, რომლებიც გავიდნენ პირველ ადგილზე.

**ლ. ფალავანდიშვილი,**

**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

## ჩოგბურთი

დამთავრდა ჩოგბურთელთა პირადი შეჯიბრება. ერთეულთა ფინალში ვაჟთა შორის ერთმანეთს შეხვდნენ არაქელიანი (სომხეთის პედაგოგიური ინსტიტუტი) და თოხაძე (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი). გამარჯვება მოიპოვა არაქელიანმა — 7:5 და 6:2. ქალთა შორის ერთმანეთს შეხვდნენ აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები სმეტენკო და ულვერი. სამ პარტიაში გაიმარჯვა ულვერმა.

ვაჟთა წყვილებს შორის თოხაძე-კოსოვმა დაამარცხეს მოლდავეთის წყვილი — პოლოტნიკოვი და პოპოვიჩი. ქალთა შორის უძლიერესები აღმოჩნდნენ ულვერი და სმეტენკო. შერეულ წყვილებში პირველი ადგილი დაიკავეს თოხაძემ და ღოღობერიძემ.

## ფეხბურთი

ჩატარდა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში მეორე და მესამე ჯგუფების გუნდებს შორის. მოგვყავს მატჩების ტექნიკური ანგარიშები.

* * *

**მეორე ჯგუფი**

**I ზონა.** „განთიადი" (წყალტუბო)-„იმერეთი" (ზესტაფონი) — 1:0; ადგ. მრეწვ. სამ. (ქუთაისი)-ლენინის სახ. შახტი (ტყიბული) — 1:1; სას. სამ. ტექნ. (დიდი ჯიხაიში)-„ცისკარი" (ბათუმი) — 2:0; წულუკიძე-„სალხინო" (გეგეჭკორი) — 0:1.

**II ზონა.** „კოლმეურნე" (გალი)-„განთიადი" (ბათუმი) — 3:5; „ბახმარო (ჩოხატაური)-გუდაუთა — 2:3; „კოლხიდა" (ხობი)-სამშ. უბანი № 2 (გაგრა) — 0:0.

**III ზონა.** „ჩანჩქერი" (ბორჯომი)-„დურუჯი" (ყვარელი) — 6:1; „ლოკომოტივი" (ხაშური)-„ტორპედო" (თბილისი) — 0:2; „კოლმეურნე" (ბოლნისი)-ადგ. მრეწვ. სამ. (თბილისი) — 3:0.

**IV ზონა.** „თრიალეთი" (წალკა)-„კოლმეურნე" (ქარელი) — 0:0.

* * *

**მესამე ჯგუფი**

**I ზონა.** „ველისციხე" (გურჯაანი)-„განთიადი" (ახმეტა), — 4:2; კასპი-„ჩანჩქერი" (ლაგოდეხი) — 6:1; „შირაქი" (წითელწყარო)-„კოლმეურნე" (გარდაბანი) — 2:1; „არაგვი" (მცხეთა)-კაჭრეთი — 6:2;

**II ზონა.** „კოლმეურნე" (ადიგენი)-თეთრი წყარო — 0:0; „მოტორი" (ახალციხე)-ასპინძა — 5:2; „კოლმეურნე" (დმანისი)-ბოგდანოვკა — 2:1; „არაგვი" (დუშეთი)-მტს-ი (ადიგენი) — 1:2; ახალქალაქი-მარნეული — 2:2.

**III ზონა.** ჩაქვის საბჭ. მეურნეობა-„ბუმაჟნიკი" (ზუგდიდი) — 1:3; „კოლმეურნე" (ხობი)-„თაიგული" (ლანჩხუთი) — 1:2; შემოქმედი-„კოლხიდა" (ფოთი) — 0:0; ლაითური-„ცისკარი" (აბაშა) — 5:2; „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ)-სას. სამ. ტექ. (ზუგდიდი) — 3:1.

**IV ზონა.** „მშენებელი" (ჭიათურა)-აბჭესი (გეგეჭკორი) — 2:1; სტალინის სახ. შახტი (ტყიბული)-„ხვამლი" (ცაგერი) — 4:2; „კოლმეურნე" (მაიაკოვსკი)-„სპარტაკი" (მახარაძე) — 1:0.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 6 ივლისისათვის**

**ძირითადი შემადგენლობანი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 9 | 5 | 4 | 0 | 23:10 | 14 |
| „შახტიორი" | 12 | 5 | 3 | 4 | 12:14 | 13 |
| „ტორპედო" | 8 | 3 | 5 | 0 | 21:11 | 11 |
| „ზენიტი" | 9 | 4 | 3 | 2 | 16:11 | 11 |
| ცსკ მო | 9 | 5 | 2 | 2 | 18:9 | 12 |
| „ლოკომოტივი" | 9 | 3 | 4 | 2 | 14:11 | 10 |
| „დინამო" კ. | 10 | 2 | 6 | 2 | 16:13 | 10 |
| „დინამო" თბ. | 10 | 4 | 2 | 4 | 16:25 | 10 |
| „დინამო" მ. | 9 | 3 | 2 | 4 | 12:9 | 8 |
| „კრ. სოვეტოვი" | 11 | 1 | 6 | 4 | 7:14 | 8 |
| „ადმირალტ." | 11 | 3 | 0 | 8 | 17:30 | 6 |
| „მოლდოვა" | 11 | 0 | 5 | 6 | 12:27 | 5 |

* * *

⊙ **მოსკოვი, 4 ივლისი.** აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — ცსკ მო (მოსკოვი).

თამაში მოიგეს არმიელებმა — 3:1.

* * *

⊙ **მოსკოვი, 5 ივლისი.** ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები „დინამო" და „სპარტაკი".

თამაში დამთავრდა „სპარტაკის" გამარჯვებით — 1:0.

**დასასრული**

ტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტ-

ნინ ნოვოტნიმ მიიღო საპატიო ყარაულის უფროსის პატაკი. გაისმის ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების დიდებული მელოდიები.

სტადიონის ცენტრალურ ლოჟაში ათასობით კაცი მქუხარე ოვაციით შეხვდა. თბილისის მშრომელთა მიტინგი გახსნა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ.

სის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდ ლ. შენგელია.

სიტყვა ეძლევა ჩეხოსლოვა კომუნისტური პარტიის ცენ

## ვინ გავიდა სტუდენტთა თამაშების ფინა

**მძლეოსნობა** — საქ. ფიზ. ინსტიტუტი; მოლდ. სას. სამ. ინსტიტუტი

**ტანვარჯიში** — საქ. ფიზ. ინსტიტუტი; საქ. პოლიტექ. ინსტიტუტი

**ცურვა** — აზერ. ფიზ. ინსტიტუტი; საქ. პოლიტექ. ინსტიტუტი

**კრივი** — სომხეთის ფიზ. ინსტიტუტი

**ძალოსნობა** — საქ. ფიზ. ინსტიტუტი; საქ. პოლიტექ. ინსტიტუტი

**კლასიკური ჭიდაობა** — აზერ. ფიზ. ინსტიტუტი

**თავისუფალი ჭიდაობა** — საქ. ფიზ. ინსტიტუტი; საქ. პოლიტექ. ინსტიტუტი

**ფარიკაობა** — საქ. ფიზ. ინსტიტუტი; საქ. პოლიტექ. ინსტიტუტი

**ველოსპორტი** — საქ. ფიზ. ინსტიტუტი; საქ. პოლიტექ. ინსტიტუტი

**ჩოგბურთი** — საქ. ფიზ. ინსტიტუტი; საქ. პოლიტექ. ინსტიტუტი

**მაგიდის ჩოგბურთი** — საქ. პოლიტექ. ინსტიტუტი

**ფრენბურთი** — ვაჟები: საქ. სას. სამ. ინსტიტუტი; ქალები: საქ. პოლიტექ. ინსტიტუტი

**კალათბურთი** — ვაჟები: აზერ. ფიზ. ინსტიტუტი; საქ. პოლიტექ. ინსტიტუტი; ქალები: საქ. პოლიტექ. ინსტიტუტი



„მკვდარი" ბურთი აღებულია.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

**გამოჩენილ ექსპერტთა აზრით**

**15 უფრო «მრგვალია» ვიდრე 13!**



## ჩვენი პლანეტის ნაკრები

ჯერ კიდევ არ იყო ნათამაშევი ფეხბურთში VI მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩი და შვედურ სპორტულ ჟურნალში „ხე" გამოქვეყნდა მსოფლიოს ნაკრები გუნდი, ე. წ. „ჩვენი პლანეტის ნაკრები", რომელიც, როგორც ეს ყოველთვის ხდება, შედგენილი იქნა ფეხბურთის გამოჩენილ ექსპერტთა მიერ.

აი ჩვენი პლანეტის ნაკრების შემადგენლობა: მეკარე გრეგი (ჩრ. ირლანდია), მარჯვენა მცველი ბეგმარკი (შვეცია), მარცხენა მცველი ნილტონ სანტოსი (ბრაზილია), მარჯვენა ნახევარმცველი ვოინოვი (სსრ კავშირი), ცენტრალური მცველი გუსტავსონი (შვეცია), მარცხენა ნახევარმცველი შიმანიაკი (გფრ), მარჯვენა გარემარბი გარინჩა (ბრაზილია), მარჯვენა შუამარბი დიდი (ბრაზილია), ცენტრალური თავდამსხმელი კოპა (საფრანგეთი), მარცხენა შუამარბი პელე (ბრაზილია), მარცხენა გარემარბი სკოგლუნდი (შვეცია).

## სნაიპერი

სანამ დაიწყებოდა ჩემპიონატის ფინალური მატჩები, შვედურმა გაზეთმა „ექსპრესენმა" დააწესა სპეციალური პრიზი მოთამაშისათვის, რომელიც ყველაზე მეტ ბურთს გაიტანდა მოწინააღმდეგეთა კარში.

გაზეთის რედაქციამ პრიზად შეარჩია შვედური ფირმის მიერ საგანგებოდ დამზადებული უძვირფასესი სანადირო თოფი.

29 ივნისის გვიან საღამოს „ჰასელბაკის" რესტორანში შედგა პრიზის საზეიმო გადაცემა. იგი მოიპოვა შესანიშნავმა ფრანგმა ფეხბურთელმა 24 წლის ჟიუსტ ფონტენმა, რომელმაც 3 კვირის განმავლობაში გაიტანა 13 ბურთი. იმდენი, რამდენიც ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა შვეციამ და მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა გუნდმა. ფონტენის ეს მიღწევა სარეკორდოა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში.

**ცას წვდებოდა ცეცხლის ენა**

**რატომ გამოუცხადეს ბოიკოტი შოკოლადს**

პრიზის გადაცემისას რედაქციის წარმომადგენელმა ხუმრობით მიმართა ფონტენს:

— თოფითაც ისე ზუსტად ურტყით მიზანში, როგორც ფეხით ახვედრებთ ხოლმე!

ფონტენმა ასევე ღიმილით მიუგო:

— მე მწყინს, რომ ფინალში ვერ მოვხვდი. რაც არ უნდა იყოს, ციფრი 15 უფრო „მრგვალია" ვიდრე 13!

## რა შუაშია 17 წელი

ბრაზილიელი ფეხბურთელები დიდი სიხარულით შეხვდნენ ედვალდო ალვესა სანტა როზას დაჯილდოებას გაზეთ „ტრუდის" სპეციალური პრიზით, რომელიც დაწესებული იყო მსოფლიო ჩემპიონის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშისათვის. ედვალდო ალვესა სანტა როზა, ანუ როგორც მას უწოდებენ „შავი პელე", 17 წლისაა.

ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გუნდის მწვრთნელმა ზ. ჰერბერგერმა განაცხადა: რა შუაშია 17 წელი. პელე ბრწყინვალე ფეხბურთელია!

## ფეიერვერკი ქუჩებში

ფინალური მატჩის დღეს, 29 ივნისს ბრაზილიის დედაქალაქ რიო-დე-ჟანეიროს ქუჩებში, მოედნებზე, პარკებში, სტადიონებზე ჩართული იყო ყველა რეპროდუქტორი. მილიონი გულშემატკივარი უსმენდა მატჩის ტრანსლაციას სტოკჰოლმიდან.

ბრაზილიელთა მიერ გატანილი ყოველი გოლის შემდეგ გულშემატკივრები აფეთქებდნენ პიროქსილინის კოლოფებს, რომლებიც რომელიღაც წინდახედულმა ფირმამ სპეციალურად დაამზადა ამ დღისათვის.

მატჩის დამთავრების შემდეგ რიო-დე-ჟანეიროს ქუჩებში მოეწყო ისეთი ფეიერვერკი, რომ ცას წვდებოდა ცეცხლის ენა.

## ბოიკოტი შოკოლადს



ჩვენი გაზეთის მკითხველთა კონფერენციაზე (ანგარიში იხ. მე-2 გვ.) მკითხველმა ა. დუდუჩავამ გამოთქვა სურვილი, რომ საჭიროა გაზეთი ბეჭდავდეს სხვადასხვა ქვეყნებში კულტივირებულ თამაშებს, რომლებსაც ნაკლებად ვიცნობთ. ვასრულებთ მის თხოვნას.

ეგონ ერვინ კიში

## შეჯიბრებაზე გამგზავრება

„სახიფათო თამაშია ამერიკული ფეხბურთი?!" — გაიფიქრა დოქტორმა ბეკერმა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მეტროში იდგა და ნიუ-იორკისა და მისურის უნივერსიტეტების გუნდების შეჯიბრებაზე გამგზავრებას ელოდებოდა.

ჭეშმარიტად ორჭოფულ მდგომარეობაში იმყოფებოდა დოქტორი ბეკერი მაგრამ მალე ესეც სანატრელი გაუხდა; ხალხმა ის ვაგონში შეაგდო, რომელმაც სიამოვნების მაძიებელი ბრბო „იანკის" სტადიონთან მოიყვანა. ბეკერს ჯერ ვერაფრით ვერ მოეკრიბა გონება... უცებ მან წარმოიდგინა თუ რამდენად უფრო კარგად გრძნობდნენ თავს მაყურებლებთან შედარებით მოთამაშეები. მაგრამ სასტიკად ცდებოდა ბეკერი!..

## თამაშის პრელუდია

უპირველეს ყოვლისა, სათამაშო მოედანზე სამხედრო კაპელა ასრულებს მარშს. სინამდვილეში ეს კაპელა გადაცმული სტუდენტების ორკესტრია. თვით მრისხანე სახის მქონე პოლკის მედოლეც, რომელსაც თავზე ბობოხი ქუდი ადევს, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მსმენელია. ორკესტრანტები ცქმუტავენ. გაისმის ტაში. მოედანზე მისურის მოთამაშეები გამორბიან, ოცდაათი კაცი. თუმცა აქედან მოედანზე მხოლოდ 11 თამაშობს, მაგრამ მოთამაშეები მუდმივად იცვლებიან.

ახლა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის გუნდიც გამოჩნდა. იისფერი მაისურები და მუქი მწვანე შარვლები აცვიათ. თავზე ყველას ჩაფხუტი ახურავს. ყურები რომ არ დაავლიჯონ ერთმანეთს, ორივე მხრიდან დიდი ფირფიტები აქვთ ჩამოფარებული. ამას გარდა, მოთამაშეები მთლიანად დაბაბმული არიან.

გამოდის მსაჯის თანაშემწე, შემდეგ — მთავარი მსაჯი. მქუხარე ტაში.

## ექსტაზის მსახურნი

ახლა ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ რა იწვევს ამ „ტაშს". „ხანგრძლივ ტაშს"...

თამაშში ოთხი ტაიმია. თითო ტაიმი 15 წუთს გრძელდება. მოედნის სიგრძე 100 მეტრს უდრის. ყოველ 5 მეტრზე ხაზია გავლებული. ორი კარია. კარზე განივი შტანგა ბოძებს თავში კი არაა დამაგრებული, არამედ შუაშია გადებული. ასე, რომ კარი „H" ასოს გამოსახულებას ღებულობს. კარი სახიფათო ადგილს არ წარმოადგენს, პირიქით, იგი მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისაა და სათამაშო მოედნის გარეთ იმყოფება.

მოედანი იწყება კარიდან 5 მეტრის დაშორებით გავლებულ ხაზზე, რომელიც მთელ მოედანს განივად...

ეცემა, მტერიცა და მოყვარეც, ყველა ერთად ახტება მას თავზე, რაც საშინელ სანახაობას ქმნის. ეს 15 წამს გრძელდება, ხან ნახევარ წუთსაც. შემდეგ გაისმის მსაჯის სასტვენის ხმა და ადამიანთა გროვა იშლება. მხოლოდ ქვევით მწოლარე მოთამაშე რჩება მიწაზე, დაშავებული. გამორბიან შავი მსახურები, რომლებიც ხელოვნური სუნთქვითა და ძმრით ცდილობენ მსხვერპლის მოსულიერებას. ექიმიც აქაა, მედიკამენტების ყუთით ხელში. მსაჯი ბრძანებს ადამიანის ნასახის გატანას.

ამასობაში დანარჩენი მოთამაშეები ცივი წყლით ითქვამენ სულს.

## როგორ ხდება თავდასხმა?

...რის ბამბეულის კომბინა-... საკოლექტივო შეჯიბრებე-... რე, „საუკეთესო მორბენ-... უკეთესო მტყორცნელის" ...მგვარ შეჯიბრებათა ჩატა-... ლებელყოფა (აფხაზეთი)

...ნციაზე ვრცელი სიტყვით ფიზკულტურისა და სპორ-...

...თიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ნ. სხირტლაძე.

...ათზე: ნიჩბოსნები დის-...

ა. ბარნოვი

...მაყურებელზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ბათუმელმა დ. თარგამაძემ (მეორე ადგილი). მესამეზე იყო პ. პიჩიკიანი (თბილისი).

უკანასკნელ დრომდე ცნობილი ჭაბუკთა საკავშირო პირველობის გათამაშებაში.

ი. ჩხარტიშვილი,
სპორტის ოსტატი.

## დიდ თარიღს მიეძღვნა

სოხუმში ორ კვირას გრძელდებოდა აფხაზეთის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის სპარტაკიადა, რომელიც საკავშირო ალკკ მე-40 წლისთავს მიეძღვნა.

სპარტაკიადა გახსნეს მოტოციკლისტებმა. 18-კილომეტრიანი დისტანცია მცირელიტრაჟიანი მოტოციკლებით ქალთა შორის პირველმა დაამთავრა ე. მელეტიცკაიამ, ხოლო 30 კილომეტრი ვაჟთა შორის — ვ. ჩაპრავამ. 350 კბ სმ მოცულობის მოტოციკლეტებით 40 კილომეტრზე რბოლაში გამარჯვებული გამოვიდა სპორტის ოსტატი ვ. რუხაძე.



სოხუმის რეიდზე სტარტი მიეცა საზღვაო მრავალჭიდს. ნიჩბოსანთა შეჯიბრებაში 1-კილომეტრიან დისტანციაზე უძლიერესი აღმოჩნდა დოსააფის სოხუმის საზღვაო კლუბის ჭაბუკთა გუნდი. ამავე კლუბის მოზრდილთა გუნდმა გაიმარჯვა ნიჩბოსანთა 2-კილომეტრიან დისტანციაზე. მიუხედავად ამისა, იალქნიანი ნავებით 1,5 მილზე შეჯიბრებაში, სატყორცნი თოკის სროლასა და ბაგირის გადაჭიმვაში გამარჯვებით სოხუმის პორტის სპორტსმენებმა შეძლეს საზღვაო მრავალჭიდში საერთო გუნდური პირველი ადგილის მოპოვება.

მსროლელთა შორის პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ა. ტკაჩენკომ, ხოლო გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდათ დოსააფელებს.

სოხუმის სანაპიროზე გამოფენილი ხომალდებისა და ნავის მოდელებს შორის მსაჯთა კოლეგიამ უპირატესობა მიანიჭა კ. კრივონოსოვის ნამუშევარს.

მონაწილეთა ყველაზე დიდი რაოდენობა მიიზიდა შეჯიბრებამ „ნორჩი მეზღვაურის" ნიშნოსანთა შორის, რომლებიც ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ნიჩბოსნობაში, ტანსაცმლით ცურვაში, საზღვაო კვანძის შეკვრასა და სხვა სახეობებში. პირველი ადგილი დაიკავეს სოხუმის ნორჩმა სპორტსმენებმა.

იპოდრომზე გაიმართა ავიამოდელისტთა შეჯიბრება. წარმატება ხვდა წილად ვ. ბარკალაიას, ვ. კრავცოვის, ვ. ტკაჩენკოსა და ე. ოსორკოვის მიერ შექმნილ მოდელებს.

ვ. სემიონოვი